



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№19 (9.584)

25 მაისი-1 ივნისი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირაული გამოცემა

უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენა



ქვემო ქედი-არხილოსკალოს რეაკლომეტრიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტი არქეოლოგიებისთვისაც მნიშვნელოვანი აღმოჩენა...
ქვემო ქედში პირველი არქეოლოგიური გათხრები 1960 წელს ჩატარდა...

არქეოლოგიური მემკვიდრეობის ცენტრის ხელმძღვანელის იულონ გაგომიძის განცხადებით სამარხები ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნის პერიოდს მიეკუთვნება...
ქვემო ქედში პირველი არქეოლოგიური გათხრები 1960 წელს ჩატარდა...

ქვემო ქედში პირველი არქეოლოგიური გათხრები 1960 წელს ჩატარდა, მეორე კი გასული საუკუნის ბოლოს...
არქეოლოგიური მასალით მდიდარი სოფელი ახლა მესამე ექსპედიციის მოლოდინშია.

გამომცემის პრესსამსახური

თავისუფლების ქრონიკა

26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. ეს ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელიც 1918 წლიდან იღებს სათავეს.

1917 წლის რუსეთში მომხდარ ბურჟუაზიულ რევოლუციას მონარქიის დამხობა და იმპერიის დაშლა მოჰყვა. საქართველოში ამავე პერიოდში შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელიც, ფაქტობრივად, ქვეყანას მართავდა. ეროვნული საბჭოს დადგენილების 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. რესპუბლიკის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანიას.

1800 წელს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა იმპერიასთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტი გამოცხადდა. ეს, ფაქტობრივად, საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავდა. გენერალმა კნორინგმა ქართველ ხალხს ჯარით გარემორტყმულ სიონში წაუკითხა იმპერატორის განაჩენი. ქვეყანა, რომელსაც თითქმის ათი საუკუნე მართავდა ბაგრატიონთა დინასტია, რუსი მთავარმართებლის ხელში გადადიოდა.

იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სპობდა საქართველოს თვითმყოფადობას.

ფადობას: გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეიცვალა; გაიძარცვა საეკლესიო სინამდვილე, განადგურდა ძეგლები; რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში; განგებ ალღევებდნენ ეთნიკურ შუღლს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის; რუსეთში გადაასახლეს ბევრი გამორჩეული მამულიწილი, რომელთაც ხმა აიძალეს იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ; დაწესდა ცენზურა.

ქართველები უდრტინველად არ შეგუებიან დამოუკიდებლობის დაკარგვას, მაგრამ აჯანყებებსა და შეთქმულებებს რუსეთის უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ შედეგი არ მოჰყოლია. ქართველებმა დროებით ჩააგეს ხმლები და, წარსულის სევდით განმსჭვალულმა, მწერლობაში ჰპოვეს ნაცსაყუდელი. ასე დაიწყო საქართველოში რომანტიზმის ხანა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, - ლელთ ლუნიას ეს სიტყვები მთავარ იდეად გას-

დევდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ აზროვნებას. „ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს იფიქრებს“, ამიტომაც თერგდალეულები ყოველწარად ცდილობდნენ ეროვნული სულის გაღვივებას, თითქოს მომავალი დამოუკიდებლობისთვის ამზადებდნენ ქვეყანას. შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული ჟურნალ-გაზეთები, აღადგინეს ქართული თეატრი, დააფუძნეს ქართული სათავადაზნაურო ბანკი. 1905 წლიდან კი უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

ისევე, როგორც ყველა სხვა იმპერიაში, მეფის რუსეთმაც ამოწურა თავისი ძალები. სახელმწიფოს შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობები 1917 წლის რევოლუციაში გადაიზარდა და საბოლოოდ დაასამარა რომანოვთა სამასწლიანი დინასტია. რუსეთს კავკასიისთვის აღარ ეცალა. საქართველოს ბედის შესაცვლელად ხელსაყრელი დრო დადგა. პირველმა ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა. 1917 წლის მარტში სიონის ტაძარში საზეიმოდ გამო-

(დასასრული გვ.3)

გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

26 მაისს ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. ეროვნული დამოუკიდებლობის განცდა ქართველი ადამიანის ცნობიერებაში ქართულ სახელმწიფოებრიობასთან ერთად საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს. სწორედ ამიტომ თავისუფლებისაკენ სწრაფვა თითოეულ ქართველს გენსა და სისხლში აქვს გამჯდარი. ისტორიის ქარტეზილებში მრავალჯერ დამდგარა ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაგრამ უფლის განგებითა და ქართველთა გმირობის ხარჯზე გადავრჩენილვართ და მტერი მოყვრადაც გვიქცევია.

ახლა ისევ დადგა ის დრო, როცა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის“ და საკუთარი ქვეყნის ბედსა და მომავალს ჩვენ თვითონ ვჭყვადვთ. ეს უდიდესი ტვირთი და პასუხისმგებლობაა, მაგრამ ამავდროულად სასიამოვნო და საამაყოც. ჩვენ ახლა ჩვენი ერისა და რაიონის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფურცელს ვწერთ და ვცდილობთ, დედოფლისწყარო გახდეს ერთ-ერთი ღირსეული რგოლი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ამისათვის უკვე გადაიღდა მნიშვნელოვანი ნაბიჯები როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან. დედოფლისწყარო აღარ იქნება მიტოვებული და ჩამორჩენილი რაიონი, რომელიც წინასაარჩევნოდ თუ ახსენებდებოდა ვინმეს და ისიც მცირე ხნით. ამას ჩვენი მოსახლეობა სულ მალე იგრძნობს და დაინახავს.

26 მაისი ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღეცაა. ამ დღეს ის 74 წლის გახდებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ ეროვნული დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი რაინდი ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს დაიბადა. „ნილხვედრ სიკვდილს თუ ვუმზერდე ავად, მაშინ ნამუსის ქუდი გავთვლო, ჩემი სამშობლო მიწაა თავად, შემდეგ ეს მიწა და საქართველო“-წერდა მერაბ კოსტავა. ეს იყო მისი კრედიტო და ანდერძიც, რომელიც თითოეულმა ჩვენგანმა ცხოვრების კრედიტ უნდა აქციოს.

გილოცავთ ამ ორ ულამაზეს თარიღს და ვისურვებ, რომ სრულიად საქართველოსა და მთელ ჩვენს მოდგმას თავისუფალსა და გაბრწყინებულ საქართველოში ეცხოვროს.

ირაკლი შიოლაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი

დარბაზში აკუსტიკაც სერიალური პრობლემაა...

გვ. 5

ახალგაზრდა ოჯახებს წაახალისებენ

გვ. 3

მინისტრმა პოლიციის უფროსი დააჯილდოვა

გვ. 2

ყველაზე საწოდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლანების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი - ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვებთან ვერ ნაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

საქართველოს საავტომობილო გზების დაარსების წარმოადგენლად დედოფლისწყაროში

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით შავლიაშვილი და თავმჯდომარის მოადგილე იოსებ ქადაგიშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ეწვივნენ. ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელთან ირაკლი შიოლაშვილთან და გამგებლის მოადგილე ნიკოლოზ ხუციშვილთან ერთად ქვემო ქედის არხილოსკალის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. დავით შავლიაშვილმა და იოსებ ქადაგიშვილმა მიმდინარე სამუშაოები დადებითად შეაფასეს და განაცხადეს, რომ დედოფლისწყაროში არსებული მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დიდ ყურადღებას მოითხოვს, ამიტომაც გამოიციხული არ არის, რომ ქვემო ქედი-არხილოსკალის საავტომობილო გზის გარდა უახლოეს მომავალში სხვა პროექტებიც განხორციელდეს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა სტუმრებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა საქართველოს ხელისუფლებას ყველა პროექტისა და რეფორმის განხორციელებაში დაეხმარება.



ახალგაზრდა ოჯახებს წახალისებენ

„სოფლის მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში დედოფლისწყაროს ტერიტორიული ერთეულების მიერ განსახლებული პრიორიტეტების განხორციელება უახლოეს მომავალში დაიწყება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოსცა განკარგულება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებები შევიდა. პროექტის ფარგლებში გარკვეული ინფრასტრუქტურული სამუშაოების თანადაფინანსებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც გამოიყო თანხები. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23 მაისის სხ-

დომარე დეპუტატებმა ცვლილებებს ერთხმად დაუჭირეს მხარი. საკრებულომ ასევე დაამტკიცა დედოფლისწყაროს გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივა, რომლის საფუძველზეც ახალშობილის შექმნისას ერთჯერადი სოციალური დახმარება გაიცემა ახალშობილების რაოდენობის მიხედვით. მაგალითად, ტყუპების შემთხვევაში ოჯახი გაორმაგებულ თანხას მიიღებს, ხოლო ახალგაზრდა ოჯახების წახალისების მიზნით მშობლები, რომელთაც 25 წლამდე შეეძინება შვილები, თითოეულ ახალშობილზე განსაზღვრული 300 ლარის ნაცვლად 400 ლარს მიიღებენ.



თავისუფლების ქრონიკა

(პირველი გვერდიდან)
ცხადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯი დაარჩა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები - მენშევიკები, რომელთაც მანამდე რუსეთის დროებით მთავრობაში სხვადასხვა პოსტი ეკავათ. რევოლუციურ პეტერბურგთან შედარებით თბილისი ოაზისს ჰგავდა, მაგრამ პრობლემებმა აქაც მალე იჩინა თავი. რუსეთის ახალ ხელისუფლებას აღარ სურდა გერმანიასა და თურქეთთან ომის გაგრძელება. კავკასიის ფრონტი დაიშალა, საქართველოს კი თავისი არც ხელისუფლება ჰყავდა და არც არმია, თავი რომ დაეცვა. მენშევიკებმა 1918 წელს მოიწვიეს სეიმი, რომელსაც ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის მართვა უნდა ედო თავს. სეიმმა გამოაცხადა, რომ ამიერკავკასია რუსეთს გამოეყო. მაგრამ ჩრდილოელმა მეზობელმა „საჩუქარი“ მოუმზადა თავისუფლების გზაზე შემდგომ ქვეყნებს. საბჭოთა

რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში დადო ზავი, რომლითაც ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქებს გერმანიის მოკავშირე თურქებს უთმობდა. თურქებთან მოსალაპარაკებლად ბათუმში ახალშექმნილი სეიმის მრავალეროვანი დელეგაცია ჩავიდა. მოლაპარაკება, რაღა თქმა უნდა, უშედეგო აღმოჩნდა. თავი იჩინა ამიერკავკასიის ქვეყნების ინტერესთა სხვადასხვაობამაც: თუ საქართველო და სომხეთი ვერ ეგუებოდნენ თავიანთი მიწა-წყლის დაკარგვას, აზერბაიჯანი ერთმორწმუნე თურქეთთან წინააღმდეგობას არ აპირებდა. როცა საკითხის მოგვარების ყველა იმედი ამოიწურა, ქართულმა დელეგაციამ გამოანახა გადარჩენის ერთადერთი გზა - დამოუკიდებლობა. საქართველო არ ცნობდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს და გერმანიის მოკავშირე გახდებოდა, ხოლო გერმანიის მეორე მოკავშირე, თურქეთი, იძულებული იქნებოდა, შეეუბოდა ვითარებას. სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პროგრამა ეროვნულ

ლი იდეალებისგან შორს იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნის ექვსმა თვემ მათ ცხადად დაანახა, რომ არავითარი ზოგადსაკაცობრიო იდეა არ იდგა მამულიშვილურ ვალზე მაღლა. აი, რას ნერდა მაშინდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე ზ. ავალიშვილი: „ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვეცმინა ისტორიული სტიქიების გუგუნი, როგორ არ ყურადგველი იმავით ხმა, ვინც დიდი ხანია, აღარ არის... აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკაკუნა და როგორ არ შევეგებეთ ალტაცებით! თუ ეს წუთი გაუშვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა!..“ და 1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში ეწერა ის, რაზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა უამრავი მამულიშვილი: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო

სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. **ნათიშვილი თავისუფლება**
1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა ნითელი არმია შემოიჭრა და ქვეყნის ანექსირება მოახდინა. ხელისუფლება იძულებული იყო ემიგრაციაში წასულიყო. ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმი დამყარდა. საქართველო იძულებით შეიყვანეს საბჭოთა კავშირში. დამოუკიდებლობაწართმეული ქვეყანა 70 წელი ელოდა თავისუფლების ხელმეორედ მოპოვებას. **9 აპრილი**
დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს თბილისში ეწყობა მშვიდობიანი აქციები. საქართველოს სუვერენიტეტის ცნობის მოთხოვნით 1989 წლის აპრილში თბილისში მშვიდობიანი მანიფესტაციები ეწყობოდა. მშვიდობიანი მიტინგი 9 აპრილს, გამთენიისას სასტოკად დაარბია საბჭოთა არმიამ,

რასაც სამოქალაქო მსხვერპლი მოჰყვა. ტრაგედიის მოუხედავად, ბრძოლა ქვეყნისთვის დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსის მოსაპოვებლად მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა. **რატომ ვზაირობთ 26 მაისს?**
1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი. საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ქვეყანამ დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი დაიბრუნა. ამავე წლის 9 აპრილს დამოუკიდებელი საბჭოს პირველ სესიაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი შევიდა ძალაში, ხოლო 26 მაისს ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები და ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. 1991 წლიდან მოყოლებული 26 მაისს ქვეყნის მოსახლეობა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. მასალა მოამზადა **ინგა შიოლაშვილმა**

დედოფლისწყაროს მინდვრებში მარცოქერი და იტალიური კალია გაჩნდა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კახეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის რეგიონებში სამიში მავნებლის იტალიური და მაროკოული კალიის წინააღმდეგ ქიმიური ნამლობა დაიწყო — ამის შესახებ გაზეთ „შირაჟს“ „სურსათის ეროვნული სააგენტოდან“ აცნობეს. სურსათის ეროვნული სააგენტოს პრესსამსახურის ხელმძღვანელის ვერიკო გულუას განმარტებით, დედოფლისწყაროში სამუშაოები სამუხის ზამთრის საძოვრებზე და ტარიბანის ველზე მიმდინარეობს. „თავდაპირველად კალიის კერებმა დედოფლისწყაროსა და სიღნაღში იჩინა თავი. ნამლო-

ბა დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში გაგრძელდება. რადგან კალია მიგრაციულია, სავარაუდოდ ავიაციის ჩართვაც მოხდება. დედოფლისწყაროში ძირითადად ავიაციის გამოყენება დაუსახლებელ ტერიტორიაზე, შირაქის ველებზე ხდება. სამუხის ზამთრის საძოვრებზე სამუშაოები უკვე ჩატარდა, ასევე



შეინამლა ტარიბანის ველის ნაწილი. ტარიბანაში კალია საკმაოდ გავრცელებულია, თუმცა, იმის გამო, რომ იქ ცხვარია განლაგებული, ამ ეტაპზე ნამლობის გაგრძელება არ მიმდინარეობს. რამდენიმე დღეში მეცხვარეები გვპირდებიან, რომ ცხვარს

გაიყვანენ და დანარჩენი ნაწილის შენამლა გაგრძელდება,“ - განუცხადა გაზეთ „შირაჟს“ ვერიკო გულუამ. „ნამლობა მიმდინარეობს ახემეტის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, გურჯაანის, ქარელის, მარნეულისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში. მთლიანობაში დაგეგმილია 15 000 ჰექტრის დამუშავება როგორც ქიმიური, ასევე ბიოლოგიური გაგრძელება არ მიმდინარეობს. რამდენიმე დღეში მეცხვარეები გვპირდებიან, რომ ცხვარს

რატომ დაჰკრავს რძის მწარე ბემო? როგორ შევუნარჩუნოთ რძეს თვისებები

პირველ რიგში, რა არის რძე? ესაა რთული ქიმიური შემადგენლობის ბიოლოგიური სითხე, რომელსაც გამოიმუშავენ ძუძუმწოვარი ცხოველების მდედრის სარძევე ჯირკვავი. ის გამოიყოფა სარძევე ჯირკვლიდან ლაქტაციის პერიოდში - ხბოს მოგებიდან გაშვებამდე.

ესაა ახალშობილთა კვების სრულფასოვანი და შეუცვლელი პროდუქტი. რძის შემადგენლობაში შედის: წყალი, ცხიმი, რძის შაქარი, მინერალური ნივთიერებები, ვიტამინები, ფერმენტები და იმუნური სხეულები.

რძის მწარე გემო ძროხის გაშრობის წინ აიხსნება ფერმენტ ლაზის მოქმედებით, რომელიც ცურშივე იწყებს რძის ცხიმის დაშლას. როგორც წესი, ლაქტაციის მექანიზმის თვის ბოლოს - მეთათვის დასაწყისში მონაწილე რძეს აქვს მომწარო გემო.

მეორე მიზეზია ფერმენტ რედუქტაზის მომატებული შემცველობა. ამ ფერმენტის ყველაზე მეტი რაოდენობა არის რძის პირველ ჭავლში, ამიტომ წველის დაწყების წინ რეკომენდებულია ცხოველის საგულდაგულოდ ჩამოხანა და რძის პირველი ჭავლების ჩამონვლა (ცალკე ჭურჭელში). მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩამონვლა იატაკზე. უმჯობესია ავილოთ ტოლჩა მასში ჩაფენილი შავი ქსოვილი. რძის ჩამონვლისას შავ ქსოვილზე შეიძლება განვსაზღვროთ, დაავადებულია თუ არა ძროხა მასტიტის ფარული ფორმით (თუ დაავადებულია, ქსოვილზე იქნება ნაფიფქი). ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ ვეტერინარს.

უდიდეს გავლენას რძის საგემოვნო მარეზებლებზე ახდენს უზარისხო საკვების მიცემა. ასევე, თუ რძე ინახება. სპეციფიკურ ფერს, სუნსა და გემოს რძეს ანიჭებს მცენარეები: ანისული, ძირა, კამა, ცერცო, გვირილა. გემოზე, ფერსა და სუნზე გავლენას ახდენს აგრეთვე რძის ჰაერისმიერი კონტაქტი ქლორთან, კუპრთან, ამიაკთან, კროლინთან,

ბელეკონთან, სამკურნალო პრეპარატებთან. კატეგორიულად დაუშვებელია ცურზე სოლიდოლის წასმა ნახეთქებისა და პაპილომების სამკურნალოდ.

რძეს ქაშაყის გემოსა და სუნს აძლევს შაქრის ჭარხლის ფოთლის სილოსი და ბადაგი. ამიტომ ისინი უნდა მივცეთ შეზღუდული რაოდენობით.

ხშირად, განსაკუთრებით ადრე გაზაფხულზე, რძეს აქვს საპნის გემო და აქაფებული შესახედაობა. ამას იწვევს მინდვრის შვიტა. ასეთივე გავლენას რძეზე ახდენს ცხოველის დაავადება - ტუბერკულოზი. შმორის სუნს რძე იძენს ძროხისათვის დაობებული საკვების მიცემა.

გაზაფხულზე რძეს შეიძლება ჰქონდეს თალგამისა და ბოლოკის სუნი და გემო. მიზეზია ცხოველების ძოვება მინდვრებში, სადაც იზრდება ბოლოკურა, თალგამურა, ველის მლოგვი. შემოდგომაზე დიდი რაოდენობით კომბოსტოს მიღება რძეს ანიჭებს კომბოსტოს სუნსა და გემოს, ის ხდება წყალწყალა. ცხოველების მიერ ველური ნივრის ან ხახვის შეჭმისას რძე იძენს ნივრისა და ხახვის სუნსა და გემოს. (ძველად ამ მეთოდს იყენებდნენ ცხოველზე "თვალის საცემად").

რძის საგემოვნო თვისებებზე გავლენას ახდენს აგრეთვე ფიზიკური ფაქტორებიც (მზე, სათავსოს ცუდი ვენტილაცია, ჭურჭლის გაშრობა კვამლთან ახლოს, რძის შენახვა გაკვამლულ სათავსოში).

საგემოვნო მარეზებლების ცვლილებასთან ერთად რძე ხშირად იძენს მისთვის არა-დამახასიათებელ ფერს. ასე მაგალითად, ზედმეტად ყვითელი მიუთითებს არა მხოლოდ ძროხის მიერ სტაფილოს, გულყვითელას, მზესუმზირას ყვავილების შეჭმაზე, არამედ ცხოველის დაავადებაზე თურქულით, ციმბირის წყლულით, ყვითელთით, ჩირქოვანი მასტიტით, ლეპტოსპიროზით, პიროპლასმოზით. რძის ფერს ცვლის აგრეთვე ტეტრა-

მცველობის დროსაც.

რძე შეიძლება იყოს ასევე მოცისფრო-მოლურჯო და მოვარდისფრო-მონითალო ელფერისა. მოცისფრო-მოლურჯოს აძლევს ბალახები: კამეჩა, კესანე, ცერცველა, წინი-ბურა, თეთრი სამყურა, ჭაობის შვიტა, ენძელა, იონჯა (ლურჯი, ყვავილობის ფაზაში), აგრეთვე ხაშხაშის კოპტონი. ასეთივე ფერს რძე იძენს ცურის დაავადებისას მასტიტით ან სარძევე ჯირკვლის ტუბერკულოზით. (წყლით ფალსიფიცირებისას ანდა ცხიმის მოხდისას რძეს ასევე უწოდება მოლურჯო ელფერი).

მოვარდისფრო-მონითალო ფერს რძე იძენს საძოვარზე ან თივასთან ერთად ისეთი ბალახების შეჭმისას, როგორცაა ენდრო, ბაია, საკვები კომბოსტო, რძიანა, ისლი, ლელქაში, ჩვეულებრივი შვიტა, მინდვრის მლოგვი, ნითელი ჭარხალი, ფოთლოვანი და წინვოვანი ხეების ახალგაზრდა რტოების, აგრეთვე ზოგიერთი დაავადებისა და მონამვლის დროს. ნითელ ფერს რძე იძენს პიროპლასმოზით დაავადებისას.

გემოს ცვლილებასთან ერთად რძე იცვლის თავის. გასაკუთრებით ხშირად ის არის ბლანტი, წელვადი, ლორწოვანი ან პირიქით, წყალწყალა. რძე არის ხოლმე აგრეთვე აქაფებული, "აფულეული", "ქვიშიანი". სქელი, ბლანტი, წელვადი, ლორწოვანი - დამახასიათებელია გაშრობის წინ და გაშრობის პერიოდში. ამ დროს ის შეიძლება იყოს მწარე.

დამპალი და დაობებული საკვების მიცემა ასევე იწვევს იმას, რომ რძე ხდება ბლანტი, წელვადი. (განსაკუთრებით ვაქცევ მეპატრონეთა ყურადღებას: კონსისტენციის შეცვლა ძალიან ხშირად მიუთითებს ცხოველის დაავადებაზე თურქულით, მასტიტით, ციმბირის წყლულით, პერიმენომიით, ინფექციური ყვითელით, აგრეთვე საჭმლის მოსვლების მოშლაზე.) მადულარა (აქაფებული) რძეს იწვევს დიდი რაოდენობით შაქრის ჭარხლის ფოთლისა და უზარისხო სილოსის მიცემის გამო, რომელიც შეიცავს ერომეფავასა და პროპიონმუფავას.

„ფზენილისებრი“ რძე - საკვებში კალციუმის მეტობა ანდა სარძევე ჯირკვლის კედლებისა და სადინარების ანთება. „წყალწყალა რძე“ წყალწყალა საკვების, დამპალი კარტოფილის, ყურძნის ჭაჭის, ზუყის მიცემა და ა.შ. ზოგჯერ წყლიანობა მიუთითებს სარძევე ჯირკვლის ქრონიკულ ტუბერკულოზზე. ამიტომ მეცხოველეებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება მიაქციონ ყველა ჩამოთვლილ ნიშანს, ისინი საერთოა ცხო-



ველებისთვისაც და ადამიანისთვისაც, მათ შორის ბაქტერიული წარმოშობის ნიშნები.

ძალიან ხშირად მწარე გემოს რძეს აძლევს მასში კაზეინის დამლა პეპტონებამდე. პასტერიზებულში - სპოროვანი ჩხირების განვითარება ლპობის ბაქტერიების ჯგუფიდან; აქაფებულ რძეში - ამოკოკებისა და მიკოკოკების განვითარება სიცივეში რძის ხანგრძლივად შენახვისას. რძის მძალე გემო აღინიშნება ცხიმის დაშლის შედეგად ერომეფავის, ალდეჰიდების, კეტონების, ეთერებისა და სხვა ნივთიერებათა წარმოქმნით.

ყველა საეჭო შემთხვევაში რეკომენდებულია მიმართვა სპეციალისტ ვეტერინართან, რომელიც დასავამს ზუსტ დიაგნოზს.

მიხეილ ჭიჭაძე
„ასოციაცია მომავლის ფერმერი“
მთ. ვეტ. ექიმი
ბიოლოგიის დოქტორი

აპანბარდი
სისტემური ფუნგიციდი

სისტემური ფუნგიციდი
აპანბარდი
დაიცავს თქვენს ვენახს ჭრაქისგან!
ფასი: 20 ლარი

აგრომედი AGROQIZIKI

თქვენი წარმატება, ჩვენთან პარტნიორობით მიიღწევა!

ინოვაციური დემოფილსფარები!
მხოლოდ აგრომედი გთავაზობთ

შეიძინეთ ჰერბიციდები და ვენახის წამლები შპს აგროქიზიკის მაღაზიაში

ნ თვინი უპროცენტო განვადებით,

მხოლოდ პირადოხის მოწოდებით.

შეძენილი საქონლის მაქსიმალური თანხა შედგენს 5000 ლარს

სასუქები, გვარჯილა, ჰერბიციდები, პესტიციდები, სასოფლო სამეურნეო ტექნიკა, მოტორიანი ხერხები, ცელები, შესასხურებლები, ვეტერინარული პრეპარატები და სხვა

შეიძინეთ

„აგროქიზიკი“-ს მაღაზიაში, რუსთაველის ქ. 24, (საკოლმეურნეო ბაზართან), ფერმერთა მომსახურების ცენტრში

საქართველოს მთავრობის საგარეო უწყველი პროგრამა

სასოფლო - სამეურნეო ბარათი

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მცირეწიანი ფერმერთა საგარეო უწყველი პროგრამის ფარგლებში, გლეხები და ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში აქვთ საკუთარი მცხოველეობის განაშენიანებული რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო

„აგროქიზიკი“
გ თ ა ვ ა ზ ბ თ

მსოფლიოში გავრცელებული მაღალ პროდუქტიული მერძეული და მესხორცული ჯიშის ბულის სპერმას ჩვენი სპეციალისტები კონსულტაციას ადგილზე გაგინევენ



პირველი 50
მსურველისთვის სპერმის ღირებულებასა და მომსახურებაზე გავრცელება 50%-იანი ფასდაკლება დარეკეთ ნომერზე:
599 56 71 31

ყველაზე ჭკვიანი

რამდენიმე დღის წინ, დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში რაიონის სკოლების მეზობელ-მეგობრებს კლასის მოსწავლეებს შორის ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ გაიმართა, ლონისძიების ორგანიზატორი გახლდათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლები. ცოტა ხნის წინ აღნიშნული სახის კონკურსი მაღალი კლასის მოსწავლეებს შორისაც შედგა. ამჯერად ცოდვის გამომჟღავნებაში იგივე სკოლების, - დედოფლისწყაროს პირველი, მეორე, სოფლების ხორნაბუჯის და სამრეკლოს საჯარო სკოლის და კერძო სკოლა „ბენაურის“ მეზობელ-მეგობრებს კლასის მოსწავლეები შეერკინენ ერთმანეთს. გუნდებს ჰქონდათ თავისი სახელწოდებებიც: პირველი საჯარო სკოლის გუნდს - „ოცნება“ ერქვა, მეორე საჯარო სკოლისას - „იმედი-2“, სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლას - „იმედი 1“, სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის გუნდს - „ვარსკვლავები“, ხოლო კერძო სკოლა „ბენაური“- „რჩეულის“ სახელწოდებით წარმოვიდგა. ინტელექტუალურ თამაშს აფასებდა კონპეტენტური ჟიური, რომელიც სამი წევრისგან შედგებოდა. ესენი გახლდნენ: გამგებობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ია ბუნტური,

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ირმა ბენაშვილი და ამავე სკოლის პედაგოგი მაყვალა მაძღარაშვილი. ლონისძიების წამყვანი გახლდათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის უფროსი სპეციალისტი ქალბატონი თამარ ცოფურიშვილი. ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ ოთხ ტურად ჩატარდა, ოთხივე ტურში თავიდანვე ლიდერობდა სამრეკლოს საჯარო სკოლის გუნდი „ვარსკვლავები“, შემდეგ სკოლა „ბენაურის“ „რჩეული“ და მეორე საჯარო სკოლის გუნდი „იმედი-2“. გააუღერდა საკმაოდ საინტერესო კითხვები, მაგალითად, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით რომელმა გმირმა გაათავისუფლა მთებზე მიჯაჭული პრომეთე, - აქილევსმა, პრომეთემ, თუ იაზონმა?! საქართველოს რომელ მხარეში უნდა იმოგზაურო, რომ გომბორის მთა გადაიარო?! მართლმადიდებლური ეკლესია აღიარებს წმინდა სამებას, - მამა ღმერთს, ძე ღმერთს, - რას აღიარებს მესამეს?! დაასახელებთ მთა თბილისში, რომლის

სახელსაც თეიმურაზ ბაგრატიონის ნაწარმოების მიხედვით მეხთა ადგილს ნიშნავს?! რომელი მოციქულები წარმოგზავნა ლეთისმშობელმა თავის წილხდომილ ქვეყანაში?! ხასანბეგურა, ჩაკრულა, შენხარ ვენახი?! - ამ სამი სიმღერიდან, რომელი იმღერება

„რჩეული“, ხოლო მესამე ადგილს დასჯერდა 28 ქულით გუნდი „იმედი-2“. პირველი საჯარო სკოლის გუნდი „ოცნება“ და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის გუნდი „იმედი-1“, თამაშს დაბალი ქულების გამო, მესამე ტურის შემდეგ გამოეთიშა. ფინალურ

ქულების მქონე კაპიტნებს შორის, სადაც კვლავ სამრეკლოს სკოლის კაპიტანმა ანა ჩითინაშვილმა იმარჯვა მეორე საჯარო სკოლის კაპიტანთან ნათია თოფალაშვილთან პაექრობაში და ინტელექტუალური თამაშის გამარჯვებულიც პიროვნულად ანა ჩითინაშვილი გახდა. გამარჯვებულ პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელობისგან გადაეცათ სამახსოვრო სიგელები.

შეგახსენებთ, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში სულ ცოტა ხნის წინ ჩატარდა ანალოგიური კონკურსი უფროს კლასელებს შორის, სადაც რევანში მეორე საჯარო სკოლამ მოსწავლე სოფიო მენთეშაშვილის კაპიტნობის პირობებში აიღო, სადაც ასევე ღირსეულად ითამაშა სოფელ სამრეკლოს გუნდმა. ამჯერად კი, 40 ქულით უპირობო გამარჯვებული სწორედ სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის გუნდი „ვარსკვლავები“ გახდა.

ლონისძიებას ესწრებოდნენ გამგებობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, პედაგოგი და ისტორიკოსი ნანული ნატროშვილი, მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი ნინო ლლაშვილი, რაიონის სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და სხვები.

ლალი მხრიშვილი



ეპოქალური ქალბატონი

„ეპოქალური ქალბატონი“, „სცენის დედოფალი“ - ასე იხსენიებდნენ მართლაც გენიალურსა და ყველასგან გამორჩეულ სოფიკო ჭიაურელს, რომელსაც 21 მაისს 76 წელი შეუსრულდებოდა. ის იმ იშვიათადამიანთაგანია, რომელიც განსაკუთრებით ცნობილი ადამიანების ოჯახში დაიბადა და საკუთარი, უნიკალური ნიშა შექმნა არამარტო ქართული კინოსა და თეატრის, არამედ, მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. მისი სახე უბრალოდ მნიშვნელოვანი ან თვალსაჩინო კი არა, განსაკუთრებულია. სოფიკო ჭიაურელმა 100-მდე როლი ითამაშა და ყოველი სახე იმდენად სახასიათო იყო, რომ

თეატრალუბისა და კინომცოდნეებისთვისაც კი, მათ შორის პარალელურად აღმოჩენა რთულია. სოფიკო ერთადერთი საბჭოთა მსახიობია, რომელიც შვიდჯერ დაჯილდოვდა პრემიით „საუკეთესო ქალის როლისთვის“ საერთაშორისო კონკურსებზე. ის საქართველოსა და სომხეთის სახალხო არტისტია.

კინემატოგრაფიაში დაუვიწყარია თენგიზ აბულაძის „ნატურის ხეში“ მის მიერ შესრულებული „ფუფალა“. სოფიკო ჭიაურელი რომ არა, ძნელი წარმოსადგენია, მხოლოდ თენგიზ აბულაძისა და გიორგი ლეონიძის ჩანაფიქრის ასეთი ხორც-შესხმა გვენახა. „ნატურის ხეში“,

როგორც საუკეთესო უცხოურმა სურათმა, იმ დროის საბჭოთა ქართული ფილმისთვის წარმოუდგენლად მაღალი - ჩეხეთის „კარლოვის“, იტალიის „დონატელოს“ საერთაშორისო კინოფესტივალების უმაღლესი ჯილდოები მიიღო.

სოფიკო ჭიაურელი სერგო ფარაჯანოვის საყვარელი მსახიობი ქალი იყო, რაც ნებისმიერი მსახიობისთვის ყველაზე აღმატებული ჯილდო იქნებოდა, რადგანაც თავად სერგო ფარაჯანოვის შემოქმედება, რომელშიც სოფიკოს განსაკუთრებული ადგილი უკავია, მსოფლიო კინემატოგრაფიის ტიტანის - ანდრეი ტარკოვსკის შთაგონება იყო.

დაუვიწყარი და გამორჩეულია „დათა თუთაშხიაში“ შესრულებული ქალბატონი ნანო, ფილმში „რამდენიმე ინტერვიუ პირადი საკითხებზე“ სოფიკომ დიდსულოვანი, შემწყნარებელი და ღირსეული ქალის სახე შექმნა. თეატრში კი, მისეული „ანტიგონე“ განუმეორებელადაა მიჩნეული.

არტისტიზმის ისტორიაში ძალიან ცოტაა ისეთი მსახიობი, რომელსაც დრამის ასეთი საოცარი შეგრძნება ჰქონდა და ამავდროულად, ასე იოლად თავისუფლდებოდა წინა როლების გავლენისგან.

სოფიკო ჭიაურელმა მეუღლესთან, კოტე მახარაძესთან ერთად, საქართველოში ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის „ერთი მსახიობის თეატრის“ დაარსებით, ამ ჟანრის დრამატურგიის

ტრადიცია და ისტორია შექმნა, რომელიც წარმატებით გრძელდება და ამ მიმართულებისთვის დამახასიათებელი სისადავითა და განსხვავებულობით, მყარებლისთვის განსაკუთრებით საინტერესო სანახაობას, თავად მსახიობებისთვის კი ნიჭის საკმაოდ რთულ გამოცდას წარმოადგენს.

მძიმე სენით დაავადებული სოფიკო ჭიაურელი სიკვდილამდე სიცოცხლით, სიყვარულით, არისტოკრატიზმითა და უბრალოებით აღსავსე, დაულავად ეხმარებოდა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ქართველ მაყურებელს კარგად დაამახსოვრდა სოფიკოს ბოლო გამოსვლა სცენაზე, რომელიც სწორედ ქველმოქმედებას ემსახურებოდა.

დღეს, თანამედროვე მსოფლიოში, ხელოვნების „სიმალლის საზომი“ რამდენადმე შეცვლილია, თუმცა, კლასიკას



ისევ ძველი მნიშვნელობა აქვს და, თუ სოფიკოს შემოქმედებით, მისი მრავალმხრივობით, შესრულების გამორჩეული მანერითა და გარდასახვის შეუდარებელი ნიჭით ვიმსჯელებთ, თამამად და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ეკრანის დედოფალად“ ნოდებულმა ქალბატონმა საქართველოში „ნიჭის კლასიკა“ და ცალკეული შემოქმედის ეპოქა შექმნა.

ელზა ხარაშვილი

ს ს მ ვ ნ ა

ვლადიმერ ძისტაური



29 მაისს 40 წელი შეგისრულდებოდა, ჩემო ლადიკო. უკვე 3 წელია, შენ ჩვენთან აღარა ხარ. შენმა გარდაცვალებამ აუტანელი ტკივილი და სევდა დაუტოვა შენს ოჯახსა და ახლობლებს. იზრდებიან შენი შვილები, მათ კარგად ზრდის შენი ნანა. შენ მხოლოდ ანას ახსოვხარ; შენი მოსახელე ლადიკო, რომელიც დედის მუცელში დატოვე, კარგი ბიჭი იზედება-შენსავით ლამაზი და ამაყია-პაპა მას „ლომს“ ეძახის.

ჩვენ შენი დაბადების დღეზე შენს მუდმივ სამიყოფელთან მოვალთ, მოგიტანთ ყვავილებს და აგინთებთ წმინდა სანთელს. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა, საუკუნოდ იყოს ხსოვნა შენი. გნამდეს, რომ არასოდეს დაგივინყებთ.

შენი დედა და ოჯახი

ორი ფინალისტი დედოფლისწყაროდან

სულ ცოტა ხნის წინ ქალაქ რუსთავში ჩატარდა რუსთავის თასის გათამაშება ჩოგბურთში, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან მონაწილე საუკეთესო ვაჟი ჩოგბურთელები. კახეთიდან მონაწილეები იყვნენ დედოფლისწყაროს 14 და 16 წლის ასაკის მონაწილე ორი ჩოგბურთელი - ლუკა ძინტაშირი და ბიორბი ბაცაძეშვილი. მათ სასახლოდ უნდა

ითქვას, რომ ორივე ჩოგბურთელი გავიდა ფინალში. ისინი ჩვენი რაიონისთვის, როგორც პირველი მერცხლები ისე არიან. ისინი სულ 2 წელია, რაც ჩოგბურთში ვარჯიშობენ, ამიტომ ეს მინევა კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს. მართალია, მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს, მაგრამ სპეციალისტთა დიდი ყურადღება მიიქცევს. კახეთში ხომ ჩოგბურთი სულ ახლახანს აღორძინდა.

ჩვენი რაიონის სინამდვილეში სპორტის ამ სახეობის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის სოფელ ხორნაბუჯის რწმუნებულს ტარიელ ლარიბაშვილს. ჩოგბურთელები მოამზადეს ამ სოფლის მკვიდრებმა, მამა-შვილმა ვაჟა და ლატავრა ანდრიაშვილებმა. ვუსურვოთ დიდი გამარჯვებები მომავალში როგორც სპორტსმენებს, ასევე მათ მწვრთნელებს.

ნაირა გორაშვილი



ხანძარი სამრეკლოში

რამდენიმე დღის წინ, ღამით მოსული ძლიერი წვიმისა და ქარიშხლის დროს, სოფელ სამრეკლოს ცენტრში დაიწვა ნელი ირემადის საკუთრებაში მყოფი სასურსათო მაღაზია, სადაც მთლიანად დაიწვა შენობა და სრულად განადგურდა დაახლოებით 10-12 ათასი ლარის ღირებულების საქონელი. აღნიშნულთან დაკავშირებით საქმე შპს-ს დედოფლისწყაროს სამმართველომ აწარმოა. მათ მიერ მასალების მოკვლევისა და ექსპერტიზის პასუხის შედეგად დადგინდა, რომ ხანძარი ელექტროენერჯის გაყვანილობიდან გაჩნდა. როგორც ქალბატონი ნელი ირემადე აცხადებს, მას მინი მარკეტში საქონელი ბანკიდან ბიზნეს სესხით აღებული თანხით ჰქონდა შეძენილი და ზარალი მისთვის ორმაგად მძიმეა. სამწუხაროდ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ხელმძღვანელობა ვერაფრით დაეხმარება დაზარალებულს, რადგან დაიწვა არა საცხოვრებელი სახლი, არამედ მაღაზია, რომელზეც მუნიციპალიტეტს კანონით დახმარების გაცემა არ შეუძლია. ზარალის ანაზღაურების ერთადერთი და ყველაზე ალტერნატიული გზა დაზღვევაა, თუმცა, სამწუხაროდ, როგორც აღმოჩნდა მეპატრონეს მაღაზია არცერთ სადაზღვეო კომპანიაში არ ჰქონია დაზღვეული.

ლალი მხერბიშვილი

„ზაქების“ მწვრთნელი კახეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს




რამდენიმე დღის წინ ქ. ლაგოდეხში ჩატარდა კახეთის ლია პირველობა „კუნგ-ფუ სანდაში“. ტურნირში დედოფლისწყაროდან მონაწილეობდა ზემო მაჩხანის სპორტული კლუბი „ზაქები“. სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობდა 120 სპორტსმენი საქართველოდან და აზერბაიჯანიდან. კლუბ „ზაქებიდან“ 18 სპორტსმენი მონაწილეობდა კახეთის პირველობაზე და იქედან საუკეთესო შედეგებითაც დაბრუნდნენ. გუნდურ შეჯიბრში „ზაქებმა“ პირველი ადგილი მოიპოვეს, 18 სპორტსმენიდან კი რვა პირველი, ოთხი მეორე და სამი მესამე ადგილის მფლობელი გახდა. მთლიანობაში გუნდის ანგარიშზე 15 მედალია. პირველი ადგილი დაიკავეს: გიორგი, სანდრო, გიგა ნატროშვილებმა, ილია ბასილაშვილმა, გელა ჩაფიძემ, ნოდარ ვარდიანიშვილმა, გიორგი რევაზიშვილმა და ალექო კობტაშვილმა. მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ: ლუკა მარტყოფლიშვილი, შოთიკო ჯავახიშვილი, თამაზ გონაშვილი და სალომე ბარამაშვილი. მესამე ადგილს დასჯერდნენ: თამაზ გაბიტაშვილი, გოგა გოჩიტაშვილი და ლუკა ნატროშვილი. საქართველოს „კუნგ-ფუ სანდას“ ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი ოლეგ ფანჩულიძე) საუკეთესო მუშაობისთვის „ზაქების“ მწვრთნელი გენადი ნატროშვილი კახეთის „კუნგ-ფუ“ „სანდას“ მთავარ მწვრთნელად დანიშნა. კახეთის „კუნგ-ფუ“ „სანდას“ ფედერაციის პრეზიდენტი დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ ბრაგინი.

ვაცხადებთ კონკურსს!

ასოციაცია „წითელწყაროელი“ დედოფლისწყაროს რაიონის მწერალთა ასოციასთან და გაზეთ „შირაქთან“ ერთად, აცხადებს კონკურსს „გვითხულოთ ვეფხის-ტყაოსანს“.

მოგესხენებათ, ეს რაიონის მოსახლეობას შორის საკმაოდ პოპულარული ღონისძევაა, რომელიც თითქმის ტრადიციად არის ქცეული. გვინდა, წელსაც ლამაზად გაგრძელდეს ეს ტრადიცია და მონაწილეობის მისაღებად ვინცვეთ სკოლებს, სკოლისგარეშე დაწესებულებებს, რაიონის მოსახლეობას, ნებისმიერ მსურველს ასაკის შეუზღუდავად.

კონკურსის შემდეგ შეიქმნება „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეთა კლუბი.



მსურველები დაგვიკავშირდით:
599-2832-52; 592-61-70-38; 22-55-49
ასოციაცია „წითელწყაროელი“,
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი,
ბაზეთი „შირაპი“

ყურადღება

მჭირდება მოხუცის მომვლელი ქალბატონი დღის განმავლობაში. მსურველები დაგვიკავშირდით:

☎ 599 28 32 52

პყიდი

ვეყიდი გვერდიგვერდ მდებარე ერთოთახიან და ოროთახიან ბინას ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. N44, მე-5 სართული (თეატრის ქუჩის გადაკვეთაზე, მზია ქადაგიძის მაღაზიის თავზე). ფასი შეთანხმებით.

☎ 555 330 072
იკითხეთ მარინა.

ყურადღება

მოგემსახურებათ ტაქსი კომფორტულად ბინაზე გამოძახებით, თბილისი-რუსთავი-თელავის მიმართულებით, ადგილზე მიყვანით, შესაბამისი ანაზღაურებით. რაიონიდან გასვლა მოხდება დღის 7 საათზე. თბილისში ტაქსი მგზავრებს დაელოდება მეტრო „ისნის“ პირდაპირ, გზის გადაღმა პოლიციის შენობის წინ. გისურვებთ მშვიდობიან მგზავრობას.

☎ 557-128-100 იკითხეთ თენგიზი

ამინდი		დედოფლისწყარო										
შაბათი 25.05	კვირა 26.05	ორშაბათი 27.05	სამშაბათი 28.05	ოთხშაბათი 29.05	ხუთშაბათი 30.05	პარასკევი 31.05	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁
22°	15°	21°	15°	16°	15°	18°	15°	18°	16°	17°	16°	20°

გამომცემელი შპს „შირაპი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილობითი მუშაობა ფაქტებსა და ციფრებზე ასახვას აკეთებს ავტომატურად.	სარედაქციო კოლეგია: ლალი მხერბიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ურნალისტიკები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მხეცვერი); ნათია პოსტაშვილი (ბულეტენი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მხეცვერი); მზია ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იხვედება შ. პ. ს. „სამშობლოს“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფრონტის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 551 25-17-44 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
---	---	---	--